# პიონერი

ეროვნული ბიბლიოთეკა



სახელგამი

№ 23—24

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ახალი მეტეოროლოგიური სადგური კავკასიის მთებში 1980 მეტრის სიმაღლეზე.

# პატარა მთესავები

დიდი მინდორი გადახნა
ცეცხლის პატარა გუთანმა,
ხარით ოცი დღის სახნავი
ორ დღეში, დასცა გულდაღმა.
მთესავი ვიღა იჩნება,
ვინ გადააბნევს ხორბალსა?
რამდენი ხელი გაუძლებს
ამ შავი ზურგის ბორბალსა?!..
დაურეკნია ცანგალას,
ცელი ბიჭები სკოლიდან,
თვითონ ყველაზე წინ მიდის,
სხვები მისდევენ ხტომით,
თოუხარია სუყველას,
გაკვეთილს მორჩნენ დროზედა,
ქალა თესვასაც ისწავლის
სანდრო, გიგო და ხოზეცა.
აი მიცვივდენ ნახნავში,
უცბად გაიღეს გრიალი,
ყველას ამხნევებს შრომაში
ახალგაზრდების ტრიალი,
სთესავენ... ჩვენი ცანგალა
აჩრევს ნახნავში მარცვალსა,
თან კოხშეკრული იძახის
აზრს, გაკვეთილის ნაცვალსა:
ამას ყვავები აჰკენკენ,
ამას წაიღებს ქარიო,
ამას დააზრობს ზამთარი
ყინვებით აბეზარიო,
ამას გადუვლის ზედ [illegible]
შელგა, გონგოლა, ნარიო,
ამას, ყანად რომ იქცევა
შეჭამს ბელურათ ჯარიო
ეს მიერთმევა მუშებსა
ჩვენგან, ვით საჩუქარიო,
ახალი შრომებისათვის
შეემატებათ ჯანიო....
თან ფარცხი მისდევს მათ უკან,
გამხნევებითა ხარობენ —
ხვალე დაჰფარავს მას თოვლი
და იმიტომა ჩქარობენ.

**ი. მჭედლიშვილი.**



თურქეთის რესპუბლიკის გამოცხადების დღეს, 29 ოქტომბერს, დემონსტრაციაში მონაწილე მოწაფე ქალები.

329.153(05)
3-47



ჟენევა. დემონსტრაციის დროს მუშების დაულეტა კაპიტალისტების მიერ. დემონსტრაცია მოწყობილი იყო ნოემბერში, მსოფლიო ომისათვის მზადების წინააღმდეგ.

584

# ხუთი დღით ტყეებსა და მთებში

(ნაწყვეტი)

ჯერ გათენებული არ იყო, რომ კოლმეურნეობის სახლის წინ ავტომობილის ბლუილი მოისმა.

— ამხანაგებო, გაიღვიძეთ, ჩქარა უნდა წავიდეთ, ყვიროდა სოლომანი.

ნანა ზოფმა გამოახედა ეზოში. შოფერი ბერავდა კამერებს. თანაშემწე პურით და ყველით ილუკმებოდა.

ახალგვრები ჩასულიყვნენ ყოფილ სამზარეულოში და ტანზე ივლებდენ ცივ წყალს.

სოლომონი გაჯავრდა, რომ გაიგო.

— აი ეშმაკები, რა დროს ბანაობაა! გზას ვადგივართ. სოლომონი დავამშვიდეთ და დროს მოსაკლავად ხელში მივეცით ხელდახელ ადუღებული ჩაი. რა თქმა უნდა, შაქრით კარგად დამტკბარი და მოზრდილი მხედრული ფათქით.

— ოო! ეს ჩინებულია, ჯანი იცის.

ჩაილაპარაკა სოლომანმა და მოულხინა ჩაის. მობანავე „ბანოვანებიც" მოვიდენ. ავტობუსში მოეწყვენ და პურს, ყველსა და ჩაის მათაც მოულხინეს.

ტყუილად ბრაზობდა სოლომანი: თანაშემწე გოგრების დაბერვას კიდევ მოუნდა ნახევარ საათს.

როგორც იქნა, მანქანა მომართეს. აღრიანად ღრუბლის ნაგლეჯიც არ იყო ცაზე, და ნახევარ საათში კი ქვარტლივით მუქი ღრუბელი გამოჩნდა დასავლეთით.

სოლომანმა ცას შეხედა და უხეპურად თქვა:

— ამაზე ცუდი გზა, პირველი სამი კილომეტრი რომ უნდა გავიაროთ, მთელ საქართველოში არ მოიძებნება. „პიანინოები" მოგონილია.

მე იმ წამსვე გამახსენდა თელავის გზა გომბორზე, რომელიც მეწყრებზე აძის და, რომ ავტომობილს ქვევიდან ნიადაგი არ გამოეცალოს, ოთხკუთხი ძელები აწყვია.

თეთრი ძელები შორიდან რაღაც ფანტასტიურ კლავიშებს ჰგავს, და შოფერებიც ამიტომ ეძახიან მას პიანინოს.

მანქანა დაიძრა, ორ წუთში მოვეფარეთ გორაკს და შევხედეთ ნაშვავების სერიას. „კარტნალის განი" — ასე ეძახიან ამ საშიშარ ალაგს აქაურები.

პირველი ნაშვავები გავიარეთ, მეორესთან მანქანა ნელ სვლაზე გადაიყვანეს, მესამე ძლიერ ნელა გავიარეთ და გვგონია გადავრჩით. მე მოვემზადე შანის მოსაგებად, რომ მეოთხეს მივუახლოვდით. სოლომანმა მანქანას სვლა მოუმატა და მივხვდი, რომ ამ ალაგს სოლომანი ისე ერიდებოდა, როგორც ცრუმორწმუნე ჩაძრახ ღელეს და ხევს.

გზა ჯერ უხვევს და მერმე ეშვება პატარა თავდაღმართზე. შუა მოხვეულზე არა ვართ მისული, რომ გნეისის ქვასავით მასა ჩამოგორდა,



**ზამბის აკრეფა. უზბეკისტანის კოლმეურნეობის მოსავლიანობის საბჭოს წევრი ყურბან ახმედ ყულიევი.**

— საინტერესოა, საინტერ[illegible] ასეთი ფოტო იშვიათია, თუ სინა[illegible]ლე არ შემეპარა კასეტში.

— ქალი კი არა, ქაჯ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძახოდენ მომხმარე გლეხები, და რაღა გზა იყო, რადგანაც ქალი მხიარულდება, როგორც ვაჟს, იმაზე მეტი მხიარულება უნდა გამომეჩინა. შიო, ცხადია, აღარ მქონდა, მაგრამ ამ ჩვეულებამ ერთიორად ჩქარა მომიყვანა გონსა და ჯანზე. რაღაც სასწაულით მანქანაც მთელი იყო. ხარკამეჩით ამოათრიეს გლეხებმა წყალ-წყალ, და სოლომანმა მომართა იგი.

— ქალაქში ჩქარა დაბრუნდები? — მეკითხება სოლომანი.

— ჰო, ჩქარა.

— მაშ, თუ ძმა ხარ, უთხარი ჩვენებს, რომ მე ფრჩხილიც არ ამტკენია. ასეც არ იყოს, ამ თქვენ მგზავრ ფოტოგრაფ ქალის შემხედვარე ვერაფერს ველარ ვიტყვი შიშსა და ხიფათზე. ასეთი უნდა ქალი! გამბედავი!

და მოუმატა სვლას. წინ გაშლილი გზა მოგვიძლოდა. ის წყეული ღრუბლებიც გადაიკარგნენ. მზე გვიცინოდა ახლა. ძალზე დავფიქრდი: რაღა მაინც და მაინც მაშინ იყო ცაზე ჭვარტლის ფერი ღრუბლები, როდესაც ჩვენ ვიღუპებოდით?

შუა მოქვიშულზე დაეცა და რიყის ქვიშაზე დაიფშვნა.

— შეაჩერე! მთა მოდის!

დაიყვირა ჩვენმა ერთმა თანამგზავრმა, უბისელმა კოლმეურნემ.

სოლომანმა მანქანა ხელად ჩაკეტა და თითქმის ერთად გადმოვხტით ყველანი, მაგრამ გვიან იყო.

ჩამოცვენილი ვეებერთელა კლდეები გვევლებოდა თავს, როგორც პატარა ბურთები.

ეცემოდენ უფსკრულში ძირულის ლილისფერ მორევში და ტალღას ჰაერში ტყორცნიდენ.

იდგა რაღაც ხრიალი და გონების დამკარგველი ქუხილი.

— არ გაინძრეთ! აგრე იყავით!

მოგვესმა ნანა ზოფის ხმა. ალბათ რაღაც შველაა, — ვიფიქრე, — ალბათ ნანა ზოფმა რაღაც შენიშნა, და ჩვენც გავჩერდით. მაგრამ იმედი ხელად დაგვეკარგა, როდესაც ამ ვეება ხმაურში ლითონის შხაპუნი მოგვესმა, ნანა ზოფი სურათს იღებდა.

— ჰკუაზე შეშლილა!

მივეყუდეთ კლდეს და შევურიგდით იმ აზრს, რომ ჩამოვარდნილი ქვები ჩვენ ავტომობილიანად გაგვსრესავს, ისე რომ ნიშანიც აღარ დარჩება ჩვენი.

უცებ მოისმა გრიალი, და შევამჩნიე, როგორ მოწყდა გორაკი, რომელზედაც ჩვენი მოქვიშული გზა საბელივით იყო შემოვლებული.

მიგრიალებდა შავი, მივქროდით ჩვენც რაღაც სიზმარის სისწრაფით უფსკრულისაკენ.

მდინარემდი ჩავარდნა შევნიშნე, ხოლო მას შემდეგ რა მოხდა, აღარავის გაგვიგია.

მოვსულიერდით ღლის 12 საათზე. გადავრჩით, მაგრამ შინ რომ ვიძინებდი საღამოთი, არ მჯეროდა.

შოფერის თანშემწეს მკლავი ეღრძო, ნანა ზოფს მოხვედროდა ქვა რბილობზე და ძალზე იტკივებდა, თუმც არ იმჩნევდა. რომ გამოვერკვიეთ, ნანა ყვიროდა.



**გერმანია. უმუშევარი მუშის მშიერი 6 წლის გოგონა მათხოვრობს.**



ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მომუშავე ბრიგადირი უგლავა, მისმა ბრიგადამ გეგმა 129 პროცენტით შეასრულა.

რა შუაში ვარ მე, ანუ ჩვენ და კოსმოსი?

ბორითის მივედით დაბეგვილი, დამტვერეული, გადარჩენით გახარებული და ძალზე მოშივებული.

ბორითი პატარა სოფელია. იგი თითქმის შუა გზაზეა სურამსა და საღვურ ძირულას შორის.

ჯერ საავტომობილო გზა ბორითამდეა მიყვანილი. ასობით და ათასობით მუშაობენ მოშენი და გაჰყავთ გზა.

გზის გაყვანას ხელმძღვანელობს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულთან არსებული გზატკეცილის სამმართველო.

მაგრამ არ წყალობს მას მისი ხელმძღვანელი, სამჯერ დაფუშა გზატკეცილის სამმართველომ გზის მშენებლობის გეგმები, გამონახა რა ობიექტური მიზეზები. ამავე დროს ამ გზას მეტად დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ერთის შეხედვით გზას გულშემატკივარი არა ჰყავს. მაგრამ ეს ასე არაა. ამ მდინარის და გზის მახლობელი სოფლების საბჭოთა საზოგადოებრიობა, ალმასკომები, კოლმეურნეობანი ფართო მასების თავის მოყრით, საერთო ძალით არ იშურებენ არავითარ ღონეს. აღსანიშნავია აგრეთვე ამხ. პაპულია ორჯონიკიძის ამაგი ამ გზის მშენებლობაზე.

ხშირად უხდება მთელი სიმძიმის გადალახვა ამხანაგ პაპულია ორჯონიკიძეს.

პაპულია ორჯონიკიძის თავდადება ამ გზისათვის დაუფასებელია.

მეორე ხუთწლედის სავარაუდო გეგმა, რომელიც უკვე დამუშავებულია, ამხ. პაპულია ორჯონიკიძეს ამართლებს.

გზა ტყუილა არ კეთდება.

მეორე ხუთწლედის სავარაუდო გეგმაში ნათლად წერია: საქართველოს მძიმი მრეწველობას უნდა შეემატოს უბისის და შროშის რკინის მადნების დამუშავება, უბისის ბარიტი, ვარდისფერი მარმარილო, ამაშუკეთ-საკასრიის წითლად, თეთრად, შავად მოელვარე, ჭრელი უძვირფასესი მარმარილო.

უზღვავი თეთრი ნახევრად მარმარილო და საკირე ქვის მასივები. აზბესტი, ბეინევის და მეჩხეთურის ჯერ კარგად გამოურკვეველი ქვანახშირი.

ეს უკვე აღმოჩენილი გამოკვლეული მადნები თითო ან ნახევარი კილომეტრითაა დაშორებული უკვე ბორითამდე მიყვანილი გზატკეცილიდან.

მარტო ეს სიმდიდრეა ამ გზის გარშემო?

არა, ამხანაგებო: მარტო ამით არ ამოიწურება აქაური ბუნებრივი რესურსები.

ამ გზის გარშემო გაშენებულ სოფლებში გაშლილია კოლმეურნეობრივი მოძრაობა და ფართოდ გავრცელებულია მებაღეობა-მეხილეობა.

აქვე შეიძლება გაიშალოს მეჩაიენეობაც. იგი ნაწილობრივ ... გაშლილია და აქაური გლეხები, ... რიაში სამუშაოდ ნამყოფნი, ... აგრონომების და კოლმეურნეობათა დაუკითხავად აზიდნენ ჩაის მოშენების (ამბობენ, რომ ქალები გაათავისუფლონ მოცვის ფოთლის კრეფისაგან.

მდინარის აუზი, ნამეტნავად სათავესთან, მდიდარია მერქანის დაუშრეტელი მარაგით. ვინ იცის, საქართველოს მიწათმოქმედების კომისარიატმა იქნებ არც კი იცის ეს ცხვირის წინ მდებარე აურაცხელი სიმდიდრე: მეჩხეთური, ბრაგუნა, გეჯამანის წაბლარი, ვაკისის ულევი წიფლარი, ლიჩი, ყავთავა, კორტოხი საამირაჯიბომდე, ჩონთო, ზვანი, განსაკუთრებით კი ჩონთო, საიდანაც მთელ შორაპნის ყოფილ მაზრას გამოაქვს ყურძნის საწური საწნახელები.

ჩვენ ეს გავიგეთ პატარა და გამოუცნაურებელ საუბარში ამხ. პაპულია ორჯონიკიძისაგან ბორითში და ჩვენც, ამ თითქოს და სრულებით „უსაქმო“ მოქალაქეებმა, გავსწიეთ მათ სანახავად, თანაც განსაზღვრული საქმეც გვაქვს: ნანა ზოფს უნდა ვაჩვენოთ უსიერი სუბტროპიკული ტყე თავისი სადიპლომო შრომისათვის.

გვაცადეთ, ამხანაგო ორჯონიკიძე, ჩვენ შენზე ნაკლები არ გვეცოდინება ამ მხარის შესახებ,—დავემუქრეთ მას და დავცილდით.

ბ. ჩხეიძე.



ალბულაღის პიონერი ქალები თავისუფალ დროს ჭადრაკს თამაშობენ კლუბში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხუცის როლში

ახლა, ზურამ რით უარყოს
ახირება სკოლის!
რადგან „შობა“ არის ახლოს,
მისცეს ხუცის როლი.
ასეთია ჩვენს სკოლაში.
მოწაფეთა რწმენა,
—თუ რომ ზურა არ თამაშობს,
წახდა სკოლის სცენა.
იგი როცა მამის ხმაში ,
დგას კომუნარ ვაჟად,
ტკაცა-ტკუცი იმის ტაშის,
გამყივარი ვაშა.
მხოლოდ ზურა მუდამ ეძებს
მებრძოლ გმირთა როლებს.
ზურა დადგამს იმ პიესებს,
სადაც წერენ ბრძოლებს.
რომ რწმენა და არც მიზანი
სცენაზე არ დასცეს,
ის თამაშობს პარტიზანელს,
ცხრაასხუთელ რაზმელს.
აჯანყებას აწყობს ლაშქრით,
მაღალ დროშას ასწევს,
გამოხტება ხმლით და დაშნით,
მოღალატეს ჩასცემს.
ასეთია,
ჰოდა რა ჯობს
ასეთ გმირულ რწმენას,
როცა ზურა ითამაშებს,
სულ სხვა არის სცენაც.
მაგრამ ახლა რით უარყოს
ჯიუტობა სკოლის!
რადგან „შობა“ არის ახლო
მისცეს ხუცის როლი.
თუმცა სახე იმოსავდა
რაღაც ბოაზის ღიმილს,
მაინც დროზე მოიმზადა
წვერები და გრიმი.
ანაფორა—დედის კაბა
ჩახვეული შიგნი,
მუყაოსგან ქუდი სწრაფად,
სახარების წიგნი.
და რაც უფრო ამსახავი
მთავარია ხუცის,
იგი დარბაზს ახარხარებს
ყურთბალიშის მუცლით.

და იმ ღამეს, როცა სცენას
მიმოჰკეცეს ფარდა,
ყველა თითქმის იდგა ზევით
ზურა ხუცის გადა.
იგი გვიან გამოირჩა
დგას და სუფრას უცდის,
შემოვიდა დინჯი-დინჯად
წვერებით და მუცლით.
ჯერ ჭამა და ილაღადა,
(რა ვუყოთ რომ არ სურს)
მერე წირვა გადახადა
ცოცხლებსაც და წარსულთ.
მაგრამ ზურა იგი არ ჩანს
როგორც ჩანდა უწინ,
ხუცის როლი ისე ტანჯავს
ვით უგნურებს ხუცი.
ეჰ, ჯანდაბას ვინც დაწერა,
ახირებაც სკოლის,
ბინძური და გაიძვერა
რაა ხუცის როლი.
თუმცა ქვემოდ მაყურებლებს
გასცქეროდა ძმურად.
ამგვარ როლში მაინც ვერცერთს
ვეღარ ეცნო ზურა.

**ირაკლი აბაშიძე.**



პირველი აგვისტოს სახელობის ინტერნაციონალური საბავშვო სახლი.

# შირაქი

## „არხიპ ნიკოლაევიჩ“

დავარაკუნეთ, კარი გაიღო, და საშუალო ტანის ჭაღარაშერეული კაცი გამოჩნდა მუშის კოსტუმით. ნამდვილად სხვა არის, მძიმე სარეწავები, უფროსი გარეგნულად ასეთი არ იქნება

— ბოდიში! ჩვენ ამხანაგი კერესელიძე გვინდა.

— მობრძანდით. მობრძანდით! მე გახლავართ.

მან ასე გულგახსნილად მოგვიპატიჟა, რომ გარეთ დარჩენა სირცხვილათ მოგვეჩვენა.

— რისთვის გარჯილხართ, საიდან?
— ტფილისიდან!

ჩვენი მოსვლის მიზანი სხაპასხუპით ვუამბეთ და თან მივლინების ქაღალდიც მივაყოლეთ. მან სათვალეები გაიკეთა, გადაიკითხა და სახე გაუნათდა.

— სიამოვნებით, რითაც კი შემიძლია, დაგეხმარებით.

ჩვენ მეგობრული ბაასი გავაბით. როგორღაც დიდხანს ნაცნობად ვგრძნობთ თავს. ამ კაცში სრულიად არ არის ოფიციალობა. ლაპარაკობს დინჯად და ღრმა რწმენით. იგი ცდილობს რაც შეიძლება გაგვიადვილოს ამოცანის შესრულება. მე ახლა იმაზე-ღა ვფიქრობ, რატომ არის ეს კაცი ასე უბრალო და მიმზიდველი. და აი, როდესაც მის მოკლე ისტორიას გავეცანი, ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა: იგი ძველი ბოლშევიკია. ბაქოს ნავთის პროლეტარი. 46 წელი მუშაობს ნავთის სარეწაოებზე და თავისი სიცოცხლე ვერ წარმოუ-



ტფილისი. მე-8 სკოლის მოწაფე ები სწავლობენ ზეინკლობას.



აფხაზეთი. სოხუმის ბავშთა ტექნიკური სადგური. ბავშები სწავლობენ დურგლობას.

# ი ჭ ე ქ ე ბ ს

დგენია ამ სამუშაოს გარეშე. იყო მავ მუშად, შემდგომ მბურღავი გახდა, ბოლოს ოსტატიც, ახლა კი ნავთის წარმოების უფროსია. მის კისერზე გადუვლია რეაქციის სუსხიან წლებსაც და ოქტომბრის საზეიმო წუთებსაც. იგი ალერსით იგონებს თავის განვლილ ცხოვრებას და ამაყობს, რომ მას, მოხუცს, სოციალიზმის დიად შენობაში თავისი წვლილი შეაქვს. ჩუმად ამოვიღე უბის წიგნაკი და ფანქარი. ზოგიერთ შენიშვნას ვიწერ. ბაასი დიდხანს არ გაგრძელდა. ორი ახალგაზრდა შემოვიდა; მე უმალვე მივხვდი, რომ ესენი კომკავშირლები არიან. ყურები ვცქვიტე.

— არხიპ ნიკალაევიჩ, — მიმართა ერთმა. — რა ვუყოთ კომკავშირელების ბრიგადას?

— რა ვუყოთ! — მიუგო მე გადავწყვიტე ჭაბურღილი № 23 გავგზავნოთ, შორია, მძიმე სამუშაოა იქ.

„მძიმე სამუშაო“ — მაშასადამე, აქ მძიმე სამუშაოს ახალგაზრდა ენტუზიასტები აკეთებენ; ესეც ღვინიშნე. ისინი შეთანხმდნენ და დაადგინეს, — ხვალიდანვე გაიგზავნოს ჭაბურღილი № 23 კომკავშირელების დამკვრელი ბრიგადა. მე ალტაცებული ვარ: ვაშა, ახალგაზრდა კომკავშირელნო, რომ 46 წლით გამობრძმედილი მუშა თქვენ ყველაზე მეტად გენდობათ!

არხიპ ნიკოლაევიჩს საღლაც დაუძახეს, მან ბოდიში მოიხადა და მამაშვილურად გვითხრა: — დაისვენეთ, მე მალე მოვალ.

გარეთ გამოვედით...

შირაქის კალთებს ბინდი ეპარება. მიწის ზედაპირი უკვე გადულესავს თეთრ ფიფქს. ეს ფიფქები კვლავ ენერგიულად ცვივა ჩამოყანგული ციდან. შორს ნისლებში იკარგება ყრუ ველები. როგორღაც გგონია, რომ იქ სიკვდილია, ჩვენს მახლობლად კი ელნათურები კიაფობს. გორაკთა შუბლზე ვაციომინდვრებში, ფერდობებზე აქა-იქ მოჩანს რკინის კოშკები. ამ კოშებიდან ხმაური ისმის. დინამოები ქშინავს, ბურღი ღმუის, და ისმის გმინვა მიწის გულიდან. და ყოველივე ეს მტკიცედ მეტყველებს: — ნავთი! ნავთი!

სულ ახლოს კი, რამოდენიმე ასი საჟენის მანძილზე, გაფანტულია საცხოვრებელი ბანაკები; მათში ზოგი დიდია: სასადილო კანტორა, საწყობი, საჯინიბო, სახელოსნო და ზოგი კი პატარა: ცალკეულ მცხოვრებთათვის. ხევში „კომუნარა“ კვნესით და ბრაზიანი გუგუნით ეჭიდება 500-600 ფუთიან სიმძიმეს. მუშების ერთი ცვლა მიდის, მეორე ცვლა კი მოდის დასასვენებლად. თოვლი ისევ მოდის. ნელი ნიავი უბერავს, და გგონია შენს სხეულს ეგლისება ყინული. საშინლად ცივა...

შირაქის ნავთის სარეწაოები მუშაობენ. ველური კალთები ხმაურობს სიცოცხლის ხავსიანი [illegible]ნით, ველური კალთ[illegible]ლია.

თავბრუ მესხმის. აღარ ვიცი, საით ვიცქირო, საით ამოვიკითხავ ჩემთვის საინტერესოს, — მარჯვნით, მარცხნით, წინ თუ უკან. ყველგან ვატრიალებ თვალს, და ეს გორები ისე რთული მეჩვენება, რომ მე უღონო, უძლური ვიკარგები ამ სირთულეში. ახლა ის ჯადოსანი მაგონდება, რომელიც საბჭოთა კავშირის ველურ ხალიჩას გიგანტების სახეებად ქარგავს. ეს ჯადოსანი პროლეტარული ნებისყოფაა, მასების ენტუზიაზმი და შრომის შემოქმედება.

ქრებიან ძველი ისტორიის სფინქსები, მოდიან ახალი გიგანტები და მოაქვთ ჯერ გაუგონარი სიცოცხლე.

ჩემს სიჭაბუკეში ვლოდვილობდი, პოემებს ვწერდი, შემდეგ თავი მივანებე და დრამატურგიას დავეჭიდე. ახლა ვნანობ. ვნანობ, რომ ძველი ხელობა დავივიწყე: მე ისეთ ექსტაზში ვარ, პოემას დავწერდი, და ეს პოემა იქნებოდა ნავთის პოემა.

დაღამდა. სქელი ნისლები ჩამავდენ და წყვდიადში შთანთქეს ყოველივე. ჩვენ ველარ ვუძლებთ მძაფრ სიცივეს. ისევ არხიპ ნიკოლაევიჩის ოთახში შევდივართ.

— მშვენიერია, დიდებულია! — ვიმეორებ წარა-მარა, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი შთაბეჭდილებით, წარმოების მთელი სიღრმე და შინაარსი ჯერ კიდევ არ ვიცით.

ოთახში შესვლისთანავე ჩემი ყურადღება ღუმელმა მიიპყრო; თითქმის სამი საათი ვიტრიალე აქ და ჯერ კიდევ დარწმუნებული ვარ, რომ პლიტა შეშით ხურდება. მაგ-



ურალი ლითონის ქარხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა



საკოლმეურნეო ბაზარი ქ. კერჩში.

რომ ეს როგორ ხდება? იგი სულ თანაბრად ანთია, დავაკვირდი.

— ბიჭოს! — ჩვენ გაოცებულნი ვათვალიერებთ. პლიტა აგურის ნაგებია. ერთ ადგილას მაღლიდან პატარა ძაბრი აქვს; ძაბრის ყელი პლიტაში ეშვება, ძაბრში კი ოთახის კედლიდან გამომავალი მილი ჩადის ონკანით, მილის მეორე მხარე კედელს გარეთ თუნუქის მოზრდილ ბაკში იჭრება ონკანა ოდნავ მოვუშვით, — შავი სითხე გადმოსკდა მილიდან. ღუმელში ალმა იმატა.

— „მაზუთი“ — წამოვიძახეთ ორივემ, როგორც ერთმა. დიახ. ონკანი დაყენებულია ისეთნაირად, რომ ღუმელში მაზუთი თანაბრად ჩადის და ალს აჩენს.

— ნეტა, საიდან მოაქვთ მაზუთი?

— რას ამბობ, აქაური მაზუთი იქნება.

— აქ ხომ ჯერ კვლევას აწარმოებენ!

ჩვენ ერთმანეთს ვეკამათებით. ოთახში არხიპ ნიკოლაევიჩი შემოვიდა მუშების ჯგუფით. კამათი შევწყვიტეთ. ისინი ცხარედ ლაპარაკობდენ., მე ფანქარი და ქაღალდი მოვამზადე. ოთახში კარგი შუქი გვაქვს. სადღაც დინამო მუშაობს და ის აწვდის სინათლეს მუშათა ბარაკებს.

შირაქის წყვდიადი გარეთ წევს.

არხიპ ნიკოლაევიჩს ჩვენთვის აღარ სცალია. მას, როგორც უფროსს, ეკამათებიან, მისგან მოითხოვენ, ჰკიცხავენ. უმტკიცებენ და აჯერებენ, ის კი თვითეულ დეტალს დინჯად ქექავს, აფასებს, წონის და იძლევა დასკვნებს. მისი დასკვნა აქ კანონია. ეს იმიტომ კი არა, რომ ის უფროსია, იმიტომ, რომ ის ყველაზე მეტის მცოდნე ამხანაგია, ნდობადამსახურებული და საყვარელი ამხანაგი. მისგან ბრძანებას კი არ მოითხოვენ, არამედ რჩევას. არხიპ ნიკოლაევიჩი კი არ მბრძანებლობს, არამედ არჩევს და სთხოვს ასე გააკეთონ. აი როგორია ძველი ბოლშევიკ - პროლეტარის დამოკიდებულება სხვებთან, აი როგორ ხელმძღვანელობენ ისინი წარმოებას, აი მეთოდი, რომელიც საბჭოთა ტერიტორიის უსაზღვრო ზედაპირს ქარგავს, გიგანტებით, და ყოველივე ეს ჩვენ ზღაპრულ სასწაულებად გვეჩვენება!

მთელი საღამო ასე გაგრძელდა. მასთან რიგი მოდის და რიგი გადის. მათში ზოგი შავი მუშაა, ზოგი უფროსი ოსტატი, ზოგი ზეინკალი. ზოგიც — პარტიული და კომკავშირული უჯრედებიდან. თვითეული თავის ტკივილს და კმაყოფილებას ამჟღავნებს. თვითეულის ფიქრი მირზაანის საწარმოების ბედ-იღბალს დასტრიალებს. მე აღტაცებული ვარ მთელი თვე, რომ დავრჩენილიყავ, იმდენს ვერაფერს გავიგებდი ამ წარმოებისას, რამდენიც გავიგე და შევისწავლე ერთ ღამეში. შენიშვნებს ხარბად ვიწერ, სადაც საკითხის გაშლა ჩვენ ვიწრო გვეჩვენება, მაშ ზედმეტ შეკითხვებს ვუსვამთ და ამრიგად თვითეულ საკითხზე სრულ წარმოდგენას ვქმნით. ჩვენს გონებაში მირზაანის სარეწაოების უმნიშვნელო დეტალიც აღიბეჭდა...

(გაგრძელება იქნება)

ხ. მთვარაძე.

# ჩემი

ჩემზედ ბევრად უფროსია
საყვარელი მამის პირმშო.
შოთას ვამბობ,
ვინაც წიგნით
უმეცრების გზა დაიხშო.
ახლა ნალდი ყმაწვილია,
კომკავშირის ერთი გმირი;
რვა წელია ბოლშევიზმის
ხმამაღალი აზრით ყვირის.
სად არ იყო...
შორს სვანეთის
ხალხში ველურ ჩვევებს კლავდა;
მთიდან მთებში ეწეოდა
კომუნისტურ პროპაგანდას,
მას ეს საქმე დაავალეს,
მთები მისცეს სამოქმედოდ...
დაგვტოვა და
ოთხი წელი
მამასავით სვანებს ენდო...
ჩვენ გვეგონა დაიკარგა
და ჯავრობდა დედა ძლიერ;
წერილს სწერდა ჩამოდიო;
—შვილო, მთებმა როგორ გძლიეს!
მაგრამ შვილი არ მოვიდა,
იგი ისევ მთებში დარჩა...
ბოლოს ვნახეთ,
როცა მარტმა
გააღვიძა ჩვენი ბაღჩა.
ის მოვიდა სვანის ქურქით,
სტუმრად მოყვა ვიღაც ორი,
მხნე, გულადი,
ტანმაღალი
და საოცრად თანატოლი.

# ახალი ბაზარი

მოდიან, მოდიან... ურმების ქარავანი გრძელი მატარებელივით დიდ მანძილზე გაჭიმულა.

ზურნა-დაფდაფის ხმა ველ-მინდორზე შორს გაიჭრა და მხიარულად გასწივის.

წინ ზაირალები მოფრიალებს.

ურმების ქარავანი მოდის მძიმედ და მოჭრიალებს.

სავსეა, სავსე ქვეყნის სანოვაგით: ქარხალი, კარტოფილი, მწვანე, ხასხასა კიტრების მთებია ურმებზე ალმართული.

შემდეგ—გალიები ქათმებით, გოჭები და ახლად დაკლული ცხვრის ხორცი სოფთად, თეთრი ტილოებით დაფარებული უკანა რიგში მოჰყვებიან, ისმის მხიარული ჭრიამული.

ქალაქს ქარავანი კიდეც მიუახლოვდა, ფუნიკულიორი შორიდან თითქოს ღიმილით შეხვდა და კოლმეურნეები უფრო გაამხიარულა.

— ე, შვილოსან, იხრად არ დაეწვით ი ყაჩაღ ვაჭრებს მუცლები?!

— რას ამბობ, ბიჭო, ისეთები არიან, თურმე, რომ პირში ნერწყვი უშრებათ.

— ეგ არის, რაღა, გათავდა იმათი თარეში, მაგრამ ქალაქში კუთხე მაინც არ დარჩება, ჩემო ძმაო, რომ ხელზე მოვაჭრე სპეკულიანტებაო არ გარეკაიქცნენ და თითო ნაჭრობრივ არ გაყიდონ თავიანთი ავლადიდება.

— იცი, ბიჭო, რასა შერებიან? აი ეხლა, ჩვენ რომ ჩავიტანთ ამ ჩვენ დოვლათს, უწინ ისინი დაეხვევიან, ჩვენგან იაფად იყიდიან და სხვებს სულ ტყავს გააძრობენ.

— მერე და მთელი ნათესაობა და ოჯახის წევრები, დიდი, პატარა. იქ არის, ყველა ყიდულ[illegible] ზვინები დოვლათისა ისე [illegible]ში ვარდება.

[illegible] ბიბლიოთეკა

— არა, ძმაო, ეგ ტყუილია. იმათ ახლა კარგად იცნობენ და მგონი ახლოს არ გაიკარონ.

— რას ლაპარაკობ! იმათ ცოლებს, მამიდებს და დიდამთილობს ვინ იცნობს? ისე მიაქვთ, ჩემმა მზემ, რომ იმათ ვერავინ ვერ დაასწრებს.

ლაპარაკი და კამათი ქალაქთან უკვე შენელდა, ყველა მათგანი ელავდა, უხაროდათ ცხოვრების ახალი ნაბიჯი, ქალაქის ქუჩების ქვაფენილზე ურმებმა ხათქა-ხუთქი დაიწყო.

ტრამვაის ზარი უფრო აწკრიალდა, ავტომობილები ძლიერ აყვირდა, რადგან ქუჩა კოლმეურნეთა ქარავანმა დაიკავა.

ხალხი ტროტუარზე შეჩერდა.

ყველას სახეზე ცნობის მოყვარეობა აღებეჭდა.

# ძმა

—სწავლა გვსურსო, — სტუმრებმა<br>
თქვეს;<br>
—სვანები ვართ, ღვიძლი ძმები.<br>
უფრო შოთამ აგვაჩემა<br>
და მან უნდა მოგვცეს გზებიც.<br>
შოთა ნამდვილი ყმაწვილია,<br>
კომკავშირის ერთი გმირი;<br>
რვა წელია ბოლშევიზმის<br>
ამაღლალი აზრით ყვირის,<br>
და სვანებსაც გზა გაუხსნა,<br>
გამონახა მათთვის სკოლა,<br>
მიაბარა...<br>
და ახარებს<br>
მეგობრებად მათი ყოლა.<br>
ხშირად ერთად საუბრობენ,<br>
ერთად ჭამენ,<br>
ერთად სვამენ.<br>
ბჭობენ: როგორ დაეხმარონ<br>
ჩამორჩენილ მთიან სვანეთს,<br>
ამ დროს შოთა ღელავს ისე,<br>
თითქოს მთებით დაჭრილია.<br>
ვუმზერ მე და გულში ვამბობ:<br>
იგი ნამდვილი ყმაწვილია.<br>
სად არ იყო...<br>
შორს სვანეთის<br>
ხალხში ველურ ჩვევებს კლავდა;<br>
მთიდან მთებში ეწეოდა<br>
კომუნისტურ პროპაგანდას.<br>
დღეს ქალაქის უჯრედშია,<br>
ინდუსტრიის ტემპებს მისდევს<br>
და, თუ უთხრეს,<br>
სამუშაოდ<br>
მაღალ მთებში წავა ისევ.

**გიორგი კაჭახიძე.**



აფხაზეთი. კოლმეურნეობა „ემბროს ი". ვაშლის კრეფა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთო ღიმილმა ხალხს სახე გაუშუქა.

— კოლმეურნეებს გაუმარჯოს! „გაუმარჯოთ"...

— ური, შენი ჭირიმე, კარაქი და რძე ახალი იქნება!

— ჩქარა წამო, ქალო, ფეხზე რა ხანდი დაგედო?

— გასწი, გოგო, წინ გასწი, არავინ დაგვასწროს, უწინ ჩვენ დავდგეთ დაზგებთან, თორემ მერე ვინ შიგვიშვებს?!

— ერთი შეხედე, მაწვნის ქილებს შეხედე... დედა, დიდა, რა ამბავია, ჭორწილია, ქორწილი კოლმეურნეებისა!

— ვაი შენ გაგიხმეს ეგ მარჯვენა, რა ხელს იქნევინები, კინაღამ ჭურჭელი დამამტვრევინე, შე სამგლე, შენა!

— ვაიმე, დედა, ჩუსტი, ჩემი ჩუსტი, აგერ იმ ღიპიანმა ფეხი დამადგა და ჩუსტი დამაგდებინა! — გაისმა ათასგვარი აღელვებული ხმა.



ტფილისის საკოლმეურნეო ბაზარი.

ურმები კი ბაზარს უკვე მიუახლოვდნენ, ხალხიც იქით თავპირისმტვრევით გარბოდა. ყველას სახეზე ღიმი უკრთოდა, ზოგი ხელსახოცსაც უქნევდა კოლმეურნეებს.

მხოლოდ ალაგ-ალაგ კერძო ვაჭრები გასიპული ხელებით და მგლის თვალით იდგნენ და მწარედ ილიმებოდნენ.

— ხიო, ხი, შე უპატრონო, სად მიიწევ, სად! ხი მეთქი, ხი!

კამეჩი გაჭირვეულდა.

ახალი კიოსკები მწვანით იყო მორთული და ზედ ბაირაღები წითლად ფრიალებდა.

ამ ბაირაღების ფრიალისათვის ერთ-ერთ ახალგაზრდა კამეჩს თვალი ვერ გაესწორებია და მოუსვენრად ბორგავდა.

გვერდზე ნაბდისქუდმოგდებული ახალგაზრდა მეურმე თავის კამეჩს შეუთვალს მიუხვდა და თვალებზე ქუდი ჩამოაფარა.



ტფილისი. ახალი ბაზარი. „ახალი სანოვაგე მუშას". ახალშემოტანილ პროდუქტის გასასინჯად მოწყობილი ბაქტერიოლოგიური პუნქტი.

ყველაფერი ხელად გადაზიდეს.

ახალი დაზგები აივსო ბოსტნეულობით, რძის ნაწარმოებით, ხორცის განყოფილება — ყოველნაირი ხორაგეულობით.

დრტვინავს ხალხი, ღელავს.

ერთმანეთს თავპირსამტვრევენ.

ისმის ჩხუბი და ღრიანცელი.

— გოგო, პელო, ე მაწვნის ქილებს თვალყური ადევნე, ხომ იცი ქალაქელი ხალხის ამბავი. ისე აგაცლიან, რომ ვეღარ გაიგებ,

— ციცხვი?! პირველწოლ ციცხვი არ წამოიღე, ქაჯან, სად არის, ქა, სადა?

ესენი კოლმეურნეთა ქალები არიან.



ტფილისი. ახალი ბაზარი. წითელი ჯვრის მიერ მოწყობილი პუნქტი საექიმო დახმარების აღმოსაჩენად.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კოლმეურნეობის ბაზარი ბაქოში

თავიანთ ნაწარმოების ყურის საგდებლად თან წამოჰყოლიან.

ბარემ აქტივისტი ქალები არიან, მაგრამ, ზღვად მოწოლილი ხალხი სულს უგუბებს და თავბრუს ასხამს, ეს უცნაური [illegible]ანგაში მთლად აყრუებს მათ.

— კარაქი რა ღირს, დედი!

— ექვსი მანეთი, შვილო, ექვსი მანეთი.

— მოიტა, ორი გირვანქა ამიწონე.

— ახლა შე, შენ გენაცვალე, ჩემი ჯერია, ჩემი...

— შენ, ეი, ცოტა უკან დაიწიე, დათვივით რას მოიწევ, რას აფათურებ მაგ ხელებს!—წივის მეორე.

— იცი, რა ხორცი ვიყიდე, უმი იჭმება, პირდაპირ უმი.

— ერთი ამას უყურე, რა იაფად, ვიყიდე: სამი კონა ერთი მანეთი.

— ვა, რა კიტრები დავითრიე, ჯერ კიდევ ყვავილები ასხია, ხუთი ერთი მანეთი, დღეს პირდაპირ საჭირო წილო სადილი მექნება, აი აგიშენდათ ოჯახი, კოლმეურნეებო!

ისმის აქა-იქ ხმაური და მხიარული გამოძახილი.

წკრიალებს სასწორები, პრიალებს ხორცის დიდი დანები.

ღრიანცელი უფრო მატულობს და ამ საერთო ხმაურში გეურქას ხმა ყველა ხმასა ფარავს:

ყვითელი, დაბოჟნარი კიტრის ხროვა ბაზრის ქვემოთა კუთხეში აუყვენებია, თვითონაც გვერდით მოუკეცია და სიბრაზით გაჭითლებული საშინლად ღრიალებს:

— რვა ერთი მანეთი, კიტროჯან, ახალი მეზობლების გულის გასახეთქად, კიტროჯან, ჯერ ნუ მოკვდები, კიტროჯან, ჯიბრზე მეც დიდხანს ვიცოცხლებ, კიტროჯან!

მაგრამ რაკი ყვირილმა აღარ უშველა, გეურქა ერთ ზეზერ კიტრს თვითონ დააფრინდა და ხრამა-ხრუმი აუტეხა.

ხალხს იქითკენ აღარ მიუხედია.

ახალ დაზგებთან ფუტკარივით



კოლმეურნეობის ბაზარი ტფილისში. წალკის კოლმეურნეები კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის კლუბში.

შეჯგუფებული ხალხი კერძოებს გულს უხეთქავდა. მაგრამ დიდხანს არ ეყოთ ეს სალი და იაფი სანოვაგე.

ოთხი საათის განმავლობაში ყველა დაზგა მთლად გასუფთავდა, და კერძო ვაჭრებს გული ახლა კი სხვანაირად აუფანცქალდათ.

— ვა, არ მოგწონს, „გასწი, გასწი, აგერ იქით მიდი... ხედავ, დაზგები დილიდის მინდორივით როგორ მოსწვლეპიათ.

— იქით, იქით მეთქი, არ გესმის, თითო კიტრი მანეთია, გინდა წაიღეთ, გინდა შენთვის იყავ!

— კარტოფილი კილო ორი მანეთნახევარი. წვანილიც ორი მანეთია. ყვირის მეორე ადგილას სხვა ვაჭარი.

— ვა, პოლოსჯან, გათავდა იმათი დოვლათი, ეგ იყო, რალა?! თუ დილას ვერაფერი ვივაჭრე, ახლა სულ ფეხის ფრჩხილებიდან გავაძრობ ტყავსა.

— ერთი შეხედე და! ხელის გულივით არ არის მოტვლეპილი იმათი ახალი დაზგები!!

— აი, მაგათი დოვლათი... მაგათ უნდა ჩვენ გვაჯობონ, რალა?!

კერძო ვაჭრები კბილებს აკრაჭუნებდენ, სახე სიმწარით ელრიჯებოდათ და დამცინავი თვალით ფარდულებისაკენ იხედებოდენ.

— აბა, გიორგი, ამ ხალხს ეს ხარახურა აკრეფინე, მარდად და სწრაფად, მაგათი ფეხი აქ აღარ იყოს!

ეს ბაზარი მთლად ფარდულებით უნდა გაივსოს. აგერ მარცხნივ სამკურნალო და სასწრაფო დამხმარე პუნქტი იქნება, აქეთ საჩაიე და სასადილო გაიმართება, მათ გვერდით



საკოლმეურნეო ბაზრობა ტფილისში

—საპარიკმახერო... ხომ იცი, ეს საქმე სასწრაფოა, ვადა ორი კვირა გვაქვს და პასუხისმგებლებიც ჩვენა ვართ.

ესენი ახლადმოსულნი იყვნენ, რიცხვით ექვსი კაცი. მათ სახეზე ალელვება ეტყობოდათ, კოლმეურნეთა ბაზრის მომწყობნი ესენი იყვნენ და თავიანთი პუნქტის მოგვარებას ეშურებოდენ.

მათ მილიციელებიც თან ახლდათ. ატყდა სტვენა და გამალებული ხმაური, კერძო ვაჭრები დაფაცურდენ, ფერი ეცვალათ. მოიკუნტენ და თავიანთ სავაჭროს ალაგებას ფაცა-ფუცით შეუდგნენ.

— მორჩა, პოლოზჯან, გამოვიდა ჩვენი წირვა... ვა!! რას გვიშვრებიან! მაშ, შიმშილით უნდა დავიხოცნეთ?

ახლა კი ჩუმად წუწუნებდნენ ვაჭრები.

— გესმის, გიორგი, აქა-იქ რაც დიდი ფარდულებია, იმათ ხელი არავინ ახლოს, ისინი უნდა დარჩენ კოლმეურნეთა ვაჭრობისათვის ისინი საჭირონი არიან, დანარჩენები მარდათ, მარდათ, აკრეფინეთ და აქ კერძოებს ფეხი აღარ გააჭაჭანებინოთ.

განკარგულებას ისევ ის ახლად მოსულნი იძლევიან.

ცოტა ხნის შემდეგ კოლმეურნეების ახალ ბაზარში ხელოსნების მუშაობა ისევ გაჩაღდა.

ბაზრის გარეთ ურმების და საქონლის გასაჩერებელი სადგომები სასწრაფოდ მთავრდებოდა. აქა-იქ ბოძებსაც სხავდნენ ელექტრონს გასაყვანად, რადგან კოლმეურნეთა ვაჭრობა მოკლე ხნის შემდეგ დილის ექვსიდან საღამოს ექვს საათამდე წარმოებდა.

სრულ ხუთ საათზე ახლო ბაღიდან რადიომაც ასე დასჭექა:

ლაპარაკობს ტფილისი! ლაპარაკობს ტფილისი, სტალინის სახელობის რადიოსადგური. ამხანაგებო, ყურადღება... ვუხმობთ ყველა რაიონს... ვუხმობთ ყველა რაიონს... ამხანაგებო, მთელ ტფილისში კოლმეურნეთა ვაჭრობისათვის სასწრაფოდ მზადდება ბაზრები ახალი ფარდულებით, სასადილოთი, საჩაიეთი, საპარიკმახეროთი და სხვადასხვა პუნქტით. ამ შემთხვევაში ალარავითარი დაბრკოლება აღარ არსებობს, ახლა ყველა რაიონიდან კოლმეურნეებს შეუძლია განუწყვეტლივ ზიდონ ტფილისში თავიანთი ნაწარმოება.

ცქვიტი.



ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობის ჩა ის მიმღები ა. ბეგაძე ჩაის ფურცელს სწონის ქარხანა ში გასაგზავნად.

# კომკავშირული სიმღერა

ლენინიზმის რწმენის დროშით
სულ მივდივართ წინ.
კომკავშირულ ნებისყოფას
ვინ მოღუნავს, ვინ!
თუ მოგვიხდა შეტაკება,—
მკლავი რკინის გვაქვს,
ჩვენი გული ემსგავსება
აღელვებულ ზღვას!
მრავალნი ვართ, მიწის ზურგზე
ყველგანა ვართ ჩვენ,
დაჩაგრულო, მტკიცეთ იყავ,—
გეხმარებით შენ!
ბრძოლისათვის ვემზადებით,
რომ დარეკავს, გვწამს,
მტერს რისხვებად დავეცემით,
მოვიმარჯვებთ მკლავს!
სხვასაც ვსწავლობთ, ბრძოლის გარდა
სადაც ჩვენ ვართ, იქ,
კომუნიზმის საფუძველზე
ახალ ყოფას ვქმნით.

ვ. ხობისპირელი.



ამერიკა. 1300 გაფიცული მუშის დაპატიმრება ილინოისის შტატში

# საბჭოთა ტექნიკას ჩავწვდეთ და ვიცოდეთ

ხუთწლედის ბაზაზე
დღითი-დღე ვიზრდებით.
ახალი ქვეყნისთვის
გმირულად ვილწვოდეთ,
ჩვენ მოგვცა პარტიამ
დიადი მიზნები,
საბჭოთა ტექნიკას ჩავწვდეთ და ვიცოდეთ,
ტექნიკა მტკიცეა თავისი სიახლით
და გზებიც სავალი ძნელი და რთულია,
—გმირი ხარ! ნუ შიშობ,
გასწი და გამაგრდი!
ფოლადის შენობა, ჰა, გამართულია!
წელი წელს მიჰყვება ეპოქის თარეშით,
დასჭექე, დაიპყარ ტექნიკა, იცოდე,
დენთი ხარ! საბჭოთა ბრძოლების მხარეში
და მებრძოლ დაზგასთან შენ გმირი გიწოდეს,
ღრმა ცოდნით დაიპყრობ შენ სავალ ბილიკებს,
ტექნიკით გაასწრებ ევროპის დარგებსაც.
ევროპა შიმშილის, ლორდების ევროპა.
დაეძებს სისხლიან ხელებით ბაზრებსა.
სულ მალე მეორე ხუთწლედში მივიდეთ
და ვნახოთ. ტექნიკით აბა ვინ დასძლევსა.
დონბასის ღუმელთა გრგვინვაში ვიზრდებით,
სტალინის სიტყვები გულებში ჩნდებიან,
მიეცი ტექნიკას ახალი ბიძგები,
ამ ლოზუნგს მშრომელი მასები ხვდებიან.
ტექნიკის ჩვენ პირველ შენობას ვამთავრებთ;
გახედეთ დნეპროჰესს, დიდ ცენტრალ ძორიჰაესს,
და მთელი მსოფლიოს მშრომელებს ვანახებთ,
თუ შრომის ემბლემა რარიგად ანათებს.
საბჭოთა კავშირი ზეიმობს მიღწევებს
და მტრები ღელავენ, მათ ბრძოლა სწადიათ,
სისხლიან ომისკენ ყოველდღე გვიწვევენ,
ჩვენ მედგრად ვიზრდებით, მზად არის არმია.
იზრდება ევროპის სამხედრო დარგები
და ტყვია-წამლები უამრავ ვაზნებით.
კრიზისის ჩიხშია მსოფლიო ბაზრები,
მხოლოდ ჩვენ, მშრომელთა ქვეყანა, ვიზრდებით.
მაშ ასე, გავსწიოთ მედგ... ბიჭებით,
ახალი ბრძოლებით გმირულად ვილწვოდეთ,
ჩვენ მოგვცა პარტიამ დიადი მიზნები,
საბჭოთა ტექნიკას ჩავწვდეთ და ვიცოდეთ!

ავთანდილ კაშმაძე.



მაგნიტოგორსკის უმთავრესი ბრძმედი.

# კრიზისი ანადგურებს სკოლებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ გაინტერესებთ უცხოეთის ამბები. აიღებთ ხელში იქაური რომელიმე გაზეთს და კითხულობ დეპეშებს, წერილებს ან კორესპონდენციებს. რა სიტყვა გხვდებათ ყველაზე უფრო ხშირად თვალში? რასაკვირველია, კრიზისი.

დედამიწის ხუთ მეექვსედზე ბატონობს კაპიტალი, კრიზისით შეპყრობილი. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველდღიურად მცირდება თუჯის, ფოლადის გამომუშავება, კლებულობს ქვანახშირის ამოღება, აღარ იგება ახალი ფაბრიკა-ქარხნები, ნავსადგურებზე მოძრაობა მცირდება, კლებულობს ტვირთის გადაზიდვა რკინის გზებზე. მუშა ათასობით და ასი ათასობით იძულებულია გამოვიდეს ქუჩაში მთელი ოჯახით მშიერ-მწყურვალი, ტიტველ-შიშველი და უსახლკარო.

კრიზისი მთელი თავისი სიმძიმით დააწვა სკოლასაც, სეთ სკოლებს, სადაც სწავლობენ პროლეტარი მუშების და ღარიბი გლეხების ბავშვები.

ბურჟუაზია აცხადებს, რომ პროლეტარი ბავშვებისათვის საკმარისია მხოლოდ წერა-კითხვის ცოდნა: რომ ის იყოს მონა და ერთგული მეომარი, არ არის საჭირო მისი განვითარება და კულტურულ ადამიანად ყოფნა.

გერმანელი პიონერების ჟურნალი „დოლი“ (დი ტრომელ) წერს, როგორ ამცირებენ იქ სასკოლო ბიუჯეტს, ამით ეკონომიას ეწევიან, მაგრამ რა გამოდის აქედან?

„დოლი“ წერს:

„შემოიხედეთ, რა ხდება იმ სკოლებში, სადაც ჩვენ ვმეცადინეობთ. ჩვენი საკლასო ოთახი ყველა ოთახზე ჭუჭყიანია მთელ სასკოლო შენობაში. ლურსმნები იმდენად ამოჩრილია მერხებზე, რომ ჩვენ მათზე ტანსაცმელს ვიხევთ. საშინელი უსუფთაოა საპირფარეშოები“.

მეორე ბერლინელი მკითხველი გვწერს: „უკვე 35 წელია, რაც სკოლის შენობა არ შეკეთებულა. საშინელი ჭუჭყია. კედლები ინგრევა. რამოდენიმე ხანს მოწაფეებს აძლევდნენ საუზმეს, ახლა შეწყვიტეს გაცემა. იძლეოდენ სახელმძღვანელოებს—შეწყვიტეს: ქალაქის სამართველოს არ ყოფნის ამისათვის ფული. ყველგან წყლის დასალევად იყო მინანქრიანი ჭიქები, რომლებიც თუნუქის ჭიქებით შეცვალეს.

ასეთია ბურჟუაზიული ეკონომია.

ამ ცოტა ხნის წინეთ პოლონელ მასწავლებელთა ჯგუფმა გამოსცა წიგნი ასეთი სათაურით: „სკოლა დაღუპვის წინაშე“.

ამ წიგნიდან ჩვენ ვგებულობთ მეტად საინტერესო ამბებს:

1. დაიკეტა ასობით სკოლები, ბავშვების უმრავლესობა სკოლაში ვერ დადის ფეხსაცმელების და ტანსაცმელის უქონლობის გამო.

2. ბავშვები იძულებული არიან იმუშაონ დღიურად, რომ როგორმე იცხოვრონ, ამიტომ სამეცადინოდ დრო აღარ რჩებათ.

1931 წლის მარტში განათლების სამინისტრომ გამოაქვეყნა შემდეგი შინაარსის ცირკულიარი: 1. მიყვანილ იქნას მოწაფეთა რიცხვი თითო ჯგუფში სამოცამდე (არა უშავთ, არ დაიხრჩობიან) შემცირდეს სასწავლო საგნების რიცხვი (გარდა სამღვთო სჯულისა, რადგან ეს საგანი ხელშეუხებელია).

3. სასკოლო ასაკი გაზრდილ იქნას ერთი წლით.

4. გამოირიცხონ სასწავლებლიდან 14 წელს გადაცილებული ბავშვები (ისწავლეს და ეყოფათ).

იგივე ამბავია დედამიწის უმდიდრეს ქვეყანაში—ამერიკაში და ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში. ბურჟუაზიას კულტურა არ უნდა, ის მას გმობს. ბურჟუაზიულ ქვეყნებში შიმშილს განიცდიან ასი ათასობით ინჟინრები, ტეხნიკოსები, სწავლულები, რადგან მათთვის არ არის სამუშაო კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

1931 წლის დეკემბერში ბერლინის ბურჟუაზიულმა გაზეთმა „ბერლინერ ტაგებლატ“-მა გამოაქვეყნა ანკეტა ბავშვების მდგომარეობის შესახებ, შევსებული ექიმების და მასწავლებლების მიერ.

აი ზოგიერთი პასუხი:

ბერლინის მე-3 სახალხო სკოლის რექტორი გენში წერს:

„სამწუხაროდ, ჩვენ იქამდე მივედით, რომ ჩვენ სკოლებში ხშირად გვხდებაინ ისეთი ბავშვები, რომელთა მამებიც ორი-სამი წლის განმავლობაში უმუშევარი არიან.

ასეთივე უნუგეშოა დედების მდგომარეობა, რომლებიც რამდენიმე წლის განმავლობაში იღებენ გროშებს დახმარების სახით. სწორედ დღეს მიმიხმეს ერთ დედასთან, რომელიც უგრძნობლად ეგდო სისუსტისაგან, მთელ თავის ულუფას ის თავის ბავშვებს უთმობდა“.

გადამდებ სნეულებათა არაჩვეულებრივ ზრდაზე ლაპარაკობენ ექიმები და არც არაფერია აქ გასაკვირი, თუ მივიღებთ მხედველობაში ექიმის ცნობას ქალ. დიუსბურგიდან.

„ქ. დიუსბურგის მოწაფეების გასინჯვის დროს ვნახეთ უმუშევართა ბავშვები დახეულ ტანსაცმელით. საცვლებით და ფეხსაცმელით. ბავშვების უმრავლესობას აუარებელი მკბენარი ესია“.

პოლონეთის „ვარშავის გაზეთ“-ში იყო ასეთი ცნობა:

„მოწაფეები ხშირად ჰკარგავენ გრძნობას შიმშილით გამოწვეულ სასუსტისაგან. სკოლიდან მიღებული ცნობებით, ვარშავაში 40.000 ბავშვი ყოველდღიურად გაუმაძღარია. ეს რიცხვი 15.000-ით მეტია 1929 წელთან შედარებით.

ერთი წუთით გადავავლოთ თვალი ამერიკის იმ ქალაქს, სადაც არის



საკოლმეურნეო ბაზარი ტფილისში

ფორდის ავტოქარხანა და სადაც თითქმის შეწყვეტილია მუშაობა.

დეტროიტის სკოლაში, საქველმოქმედო ორგანიზაციის ხარჯზე, 20 ათას ბავშვს აძლევენ უფასო საუზმეს, რომელიც რამდენიმე პროცენტი ჯდება. ადგილობრივი ხელისუფლება აცხადებს, რომ მოწაფეების დიდი უმრავლესობა ამ კვებაზე რჩება მთელი დღის განმავლობაში. მასწავლებლები, რომელთაც არავითარი რევოლიუციური აზრები არ აქვთ, აცხადებენ, რომ ათასობით ბავშვები მოდიან სკოლაში შიმშილისაგან სრულიად დაუძლურებულნი. მოწაფეების ეს მცირე დახმარებაც როგორც ჩანს, შეწყდება, რადგან ამ საზოგადოებას თანხა აღარ ყოფნის. მშიერ ბავშვთა დიდ უმრავლესობას ფორდის ქარხნის უმუშევართა შვილები შეადგენენ. მიუხედავად შემოდგომის წვიმისა და სიცივისა, ბავშვები ცხადდებიან სკოლაში ფეხშიშვლები და უპალტოდ. მასწავლებლის შეკითხვებზე ისინი იძლევიან არა სწორ პასუხს, რადგან ისინი მხოლოდ საჭმელზე ფიქრობენ. გამოკითხვიდან ჩანს, რომ ისინი მთელი დღე-ღამის განმავლობაში შიმშილობენ.

კაპიტალისტები ყოველ ძალ-ღონეს ხმარობენ, რომ აღზარდონ მათთვის გამოსადეგი თაობა, მოწაფეებს ჩაუნერგონ მორჩილების და მონობის აზრები, ასეთი მორჩილებით და მონობით. უჩლუნგებენ ტვინს მოწაფეებს პედაგოგები და მღვდლები, ფარავენ მოწაფეებისაგან კაპიტალის დანაშაულს, რამდენადაც შეუძლიათ. უხატავენ მეფეებსა და კაპიტალისტებს სულგრძელებად და გულკეთილებად. აგონებენ ღვთის და უფროსის მორჩილიაას, რადგან ღმერთი გვიბრძანებს უფროსის მორჩილებას, მაგრამ უფრო გულდასმით უსმენენ ბავშვები მათ, ვინც უამბობს მათ იმ ქვეყანაზე, სადაც მოწაფეები ისეთივე თავისუფალი მოქალაქენი არიან, როგორც მათი მამები. პროლეტარები, ან გლეხები, სადაც ბავშვებზე ზრუნავს მთავრობა. სადაც შენდება ახალი სკოლები. სადაც სკოლებზე და მოწაფეებზე იხარჯება აუარებელი ფული. ასეთია საბჭოების მხარე.

ამაზევე გვიამბობენ ახკორები თავის წერილებში:

პიონერი თრანგი გვიამბობს:

„პარასკევს, 22 იანვარს. გვქონდა სამღვთო სჯულის გაკვეთილი. საზოგადოდ. ამ გაკვეთილს არ ვესწრები, მაგრამ ახლა დავრჩი და დავჯექი უკანა მერხზე სხვა გაკვეთილის დასამზადებლად, მაგრამ აი დაიწყო სამღვთო სჯულის მასწავლებელმა საბჭოთა კავშირზე სიცრუის და საშინელი ამბი თხრობა. მე სმენად გადავიქეცი. როდესაც მან მე შემნიშნა, უცბად გამოცვალა საუბრის თემა. მან იცოდა, რომ ჩვენ, პიონერები, არ მივცემთ ნებას, რომ აგინონ საბჭოთა კავშირი და მედგრად ვდგავართ მის სადარაჯოზე.

მღვდლებმა იციან, რომ საბჭოთა კავშირში ღმერთი არ სწამთ და ამაზე გაჯავრებული ყოველგვარ ბოროტებას მიმართავენ, რომ მოწაფეებსაც შეაძულონ ეს ქვეყანა. მოწაფეებსაც შეაძულონ ეს ქვეყანა, ცნობილი ჭორიკანა მღვდელი მუკერმანი თხზავს იგავებს საბჭოთა საბავშვო სახლებზე, სადაც თითქოს ბავშვებს იმდენს სცემენ, სანამ უგრძნობლად არ დავარდებიან. სადაც ნახევრად შიშველ ბავშვებს ტოვებენ 20 გრადუს ყინვაში. დამნაშავე ბავშვებს ენაზე იოდს აცხებენ და ასე შემდეგ.

მეორე მღვდელი, ამერიკელი ქენტერი, გამოვიდა უსაშინელესი ტყუილით, თითქოს საბჭოთა კავშირის რომელიღაც ქალაქში ბოლშევიკებმა შეაგროვეს 1.200 ავადმყოფი ბავშვი ერთ შენობაში მოტყუილებით, ვითომცდა სადილის საჭმელად, რადგან, როგორც ჩანს, დიდი ხნის მშიერები იყვნენ, იქ მათ დაუშინეს ტყვიამფრქვევები და ყველა მოკლეს, რომ მხარეს მოაცილონ ავადმყოფი ბავშვები".

მტრებს ხშირად ეწინააღმდეგებიან დასავლეთის და ამერიკის ბავშვები, პიონერების ხელმძღვანელობით.

ისინი აწყობენ მასობრივ კრებებს და დემონსტრაციებს.

ისინი უყენებენ მოთხოვნებს სკოლის გამგეობებს და იფიცებიან კიდევაც.

ისინი მოითხოვენ: დათხოვნილ მასწავლებელთა დაბრუნებას, ჯგუფების განტვირთვას, ღარიბებისათვის უფასოდ საუზმის გაცემას, სასწავლო ნივთების გაცემას, დაძველებული სკოლების შეკეთებას და სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას, პიონერ-ორგანიზაციის თავისუფლებას. შეგნებული პიონერი მოწაფეების დევნის და დაცინვის შეწყვეტას.

თუ ასეთი გაფიცვები მოწყობილია ორგანიზაციულად, ხშირად გამარჯვებით სრულდება ისინი, აღწევენ მიზნებს ნაწილობრივ ან მთლიანად.

ასეთ ბრძოლებში იჭედება დამპალი, დაღუპვის პირას მისული კაპიტალიზმის წინააღმდეგ, მებრძოლთა რიგები, რომელიც აშიმშილებს მილიონობით მონებს და მიჰყავს ისინი გადაგვარების გზაზე, იჭედება მსოფლიო ოქტომბრისათვის მებრძოლთა რიგები.



მახინჯაური. მანდარინის საბჭოთა მეურნეობა. მანდარინის დახარისხება

# მაქსიმ გორკი

ახლახან შესრულდა 40 წელი მაქსიმ გორკის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან.

მთელმა საბჭოთა კავშირმა იზეიმა მისი იუბილე. არ დარჩენილა ქალაქი, დაბა და სოფელი, სადაც არ მოწყობილიყოს მაქსიმ გორკის საიუბილეო საღამოები. მაქსიმ გორკი უდიდესი რევოლიუციონერი მწერალია.

მ. გორკი (ალექსანდრე მაქსიმეს ძე პეშკოვი) დაიბადა 1868 წელს, 28 მარტს, ავეჯეულობის გადამკვრელის ოჯახში. ხუთი წლისას გარდაეცვალა მამა, ხოლო ცხრა წლისას—დედა. ბავშობა გაატარა დიდედას სახლში, რომელსაც სღებავი დაწესებულება ჰქონდა, შემდეგ კი, როგორც ამბობდენ, „ხალხში“ გავიდა.

ათი წლისა როცა გახდა, გორკი იძულებული იყო თავისი შრომით მოეპოვებია პური. შიმშილი, სიცივე, მძიმე შრომა, დაცინვა, დაბრიყვება, ცემა—ასეთი იყო გორკის ბავშვობის დღეები. ერთხელ სამოვრის გულისათვის ბატონებმა ისე გალახეს, რომ საავადმყოფოში წაყვანა დასჭირდა.

ასეთმა სასტიკმა მოქცევამ გორკის გული კი არ გამკაცრა, პირიქით, მას ჩაენერგა სიბრალული და პატივისცემა ჩაგრულთა მიმართ, ხოლო ზიზღი მჩაგვრელებისადმი. მისი ადამიანური თვისებების განვითარებაში დიდი როლი ითამაშა წიგნებმა. ეს წიგნები გორკისთვის ყველაფერი იყო: სკოლაც და უნივერსიტეტიც. „ამ წიგნებით ნამდვილ ადამიანს ვუახლოვდებოდი და აუტანელი შრომით წელგაწყვეტილი, სულიერი გინებით შეურაცხყოფილი ბავშვი, ჩემს თავს ზეიმით ვაძლევდი ფიცს—დავხმარებოდი ხალხს, აღმომეჩინა მისთვის პატიოსანი დახმარება, როცა გავიზრდებოდი“—ასე წერს მ. გორკი თავის წიგნში: „როგორ ვსწავლობდი“.

მ. გორკიმ მრავალი ხელობა გამოიცვალა. მან ფეხით შემოიარა მთელი რუსეთი და 1899 წ. შემოდგომაზე ტფილისში ჩამოვიდა. ტფილისში მ. გორკი შედის სამსახურში რკინის გზის სახელოსნოებში, იქ ეცნობა რევოლიუციური ინტელიგენციის ხელმძღვანელებს და ზოგიერთ მუშებს, მონაწილეობას იღებს პროპაგანდისტთა წრეში და აქვე იწყებს თავის ლიტერატურულ მოღვაწეობას.

რამდენიმე ხნის შემდეგ ეს უცნობი, თითქმის მაწანწალა მ. გორკი ხდება ცნობილი მწერალი არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ ქვეყანაზე. ასეთი უჩვეულო გამარჯვების მიზეზი ის არის, რომ გორკი დიდი ნიჭიერი მწერალია და მან ძლიერი სიტყვა თქვა ბატონური რუსეთის წინააღმდეგ და მხარში ამოუდგა მუშათა მოძრაობას.

1900-იანი წლების დასაწყისში გორკი შედის პარტიაში, [illegible] ლენინს და მალე ეს გაცნობა მტკიცე და ხანგრძლივ მეგობრობად გადაიქცა.

პარტიაში შესვლამ გორკიზე დიდი გავლენა მოახდინა. მან თავის მოთხრობებში დიდი ადგილი დაუთმო მუშას, რომელსაც გორკი ცხოვრების ნამდვილ აღმშენებლად თვლის.

მისი ცნობილი მოთხრობა: „დედა“ შეეხება რევოლიუციურ მოძრაობას სორმოვოს ქარხნებში (1901-2 წ.). ამ ნაწარმოებით მუშათა წრეებისათვის გორკი გახდა ყველაზე საყვარელი მწერალი. მისი ნაწერები გადათარგმნილია თითქმის ყველა ენაზე. ქართულადაც ნათარგმნია მისი საუკეთესო ნაწერები: „დედა“, „არტამონოვის საქმე“, „ჩემი უნივერსიტეტი“, მისი ცნობილი პიესა „ფსკერზე“ და სხვა წვრილი მოთხრობები.

რით დაიმსახურა გორკიმ საყოველთაო სიყვარული და თაყვანისცემა?

იმით, რომ იგი, გარდა იმისა, რომ დიდი მხატვრული ნიჭით არის დაჯილდოვებული, ამავე დროს არის დიდი მებრძოლიც მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის. გორკიმ პირველმა გამოიყვანა თავის ნაწარმოებებში მებრძოლი მუშა, მოგვცა მისი სწორი სახე თავის ნაწარმოებში მან პირველმა ამცნო ქვეყანას რევოლიუციის მოახლოვება, აშკარად და გაბედულად დაუპირისპირა დასნეულებულ, გინებრივად დაჩლუნგებულ მეშჩანურ საზოგადოებას, ე. ი. ბურჟუაზიას, პროლეტარიატი, მისი მიზნები, მისი სწრაფვა ასალი, სოციალისტური საზოგადოების შექმნიათვის.

ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლა მას დღემდე არ შეუწყვეტია და ამიტომაც კაპიტალისტურ ქვეყნებს მეტად ეშინიათ მ. გორკის. ეს შიში იქამდე მიდის, რომ გორკი არ დაუშვეს ომის საწინააღმდეგო კონგრესზე, რომელიც ამ წელს მოწვეულ იქნა ანრი ბარბიუსის მიერ.

გორკი არის პირველი მწერალი, რომელმაც თავისი დიდი ნიჭი მშრომელ მასების სამსახურს მოახმარა.

სწორედ ამიტომ წერდა ლენინი: „გორკი უსათუოდ პროლეტარული ხელოვნების დიდი წარმომადგენელია... მან ბევრი რამ გააკეთა ჩვენთვის“.

დიდი მხატვრული ნიჭი და დაუღალავი ბრძოლა მუშათა კლასის ინტერესებისათვის მთელი ორმოცი წლის მანძილზე,—აი, ამაშია მ. გორკის გამარჯვების, საყოველთაო სიყვარულის საიდუმლოება. ამიტომ შეეგება მის იუბილეს ასეთი დიდი აღფრთოვანებით და ზეიმით საბჭოთა კავშირის მთელი მშრომელი ხალხი.



მაქსიმ გორკი პიონერებს შორის

# შიო მღვიმელის შემოქმედების საღამო



შიო მღვიმელი

ა.-წ. 13 ივნისს ცენტრ. საბავშო ბიბლიოთეკაში გაიმართა შიო მღვიმელის შემოქმედების საღამო, ამ საღამომ დიდი ინტერესი გამოიწვია ბავშვებში. მიუხედავად მოწაფეთა დატვირთვისა სკოლის დავალებით, რადგანაც სასწავლო წლის დასრულების დრო იყო, ასზე მეტი ბავშვი დაესწრო ამ საღამოს. ცენტრ. საბავშო ბიბლიოთეკამ წინასწარი მუშაობა ჩაატარა ამ საღამოსათვის, რაც შემდეგში გამოიხატებოდა: გამოჰყო მკითხველი აქტივიდან ორი ბრიგადა. თითოში შევიდა 4 ბავშვი. მიეცათ წიგნები და გეგმა — როგორ უნდა დაემუშავებინათ შიოს შემოქმედება.

ცენტრ. საბავშო ბიბლიოთეკას სამუშაო გეგმაში შეტანილი აქვს მთელი რიგი საბავშო მწერლების შემოქმედებითი საღამოების ჩატარება, რასაც ბავშვის აქტივობისათვის, მწერლის შესასწავლად,, მის იდეოლოგიის გამოსამჟღავნებლად დიდი მნიშვნელობა აქვს.

შემოდგომაზე პირველ რიგში გაიმართება ელიზბარ პოლუმორდვინოვის შემოქმედების საღამო (მისი საბავშო წიგნები).

ჟურ. „პიონერი“-ს რედაქციის ვუგზავნით მე-5 შრ. სკოლის მე-7 ჯგ. კომკავშირელის გ. ძიგუაშვილის შესავალ სიტყვას, წარმოთქმულს შიოს შემოქმედების საღამოზე. და ერთი ბრიგადის — მუხაშვილი, სიგუა, შიუკაშვილი, ქუბიაშვილი—მოხსენებას.

## შ. მღვიმელი.

დღევანდელ ეტაპზე ჩვენი ყურადღება მიქცეულია იქითკენ, რომ ავაგოთ უკლასო, სოციალისტური საზოგადოება. სოციალისტური წყობილების დასამყარებლად არ არის საკმარისი მარტო სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია, საჭიროა ადამიანის გონებრივი ვითარებაც სავსებით ეგუებოდეს ცხოვრებას, მდგომარეობას, ე. ი. ყოველი ადამიანი გამსჭვალულ იქნეს მხოლოდ კომუნისტური სულისკვეთებით. მომავალი თაობა ძირითადი ღერძია წინმსვლელობისა; წლების შემდეგ მან უნდა ჩაიბაროს სახელმწიფო და უნდა იქნეს ხელმძღვანელი მსოფლიო პროლეტარიატისა, ეს გარემოება კი ავალებს ყველას, ვინც აწარმოებს ბავშის სულიერ აღზრდას, ძირითადი ყურადღება ბავშვის კომუნისტური აღზრდის საკითხს მიაქციოს. ამ საზოგადო საზომით ვუდგებით ჩვენ ყველა საბავშო მწერალს და მათ შორის პატივცემულ შიო მღვიმელს. რომლის ძირითადი ნაკლი ისაა, რომ მას არ ახასიათებს ბავშვებისათვის ლენინური აზრების მხატვრულად გადაცემის ინტერესი. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგაც კი შიო ლექსებს წერს ისეთ ბავშვებზე, რომლებიც რელიგიურ დღესასწაულებს გაფაციცებით ელოდენ, დედოფლებით ირთობდენ თავს.

დღევანდელი ბავშვი თითებზე არ ითვლის აღდგომამდე ან შობამდე დარჩენილ დღეებს. მას სკოლამ და პ.-ორგანიზაციამ ასწავლა, რომ ასეთი დღესასწაულები მავნებელია, რომ საჭიროა აქტიური ბრძოლა, მათ აღმოსაფხვრელად.

თანამედროვე ბავშვი სწავლისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მუშაობას ანდომებს დროს. თავისუფალ საათებში, „კულკლობანას“ თამაშის მაგიერ, ის სხვადასხვა კულტურული გასართობით სარგებლობს. საერთოდ რომ ვთქვათ, დღევანდელი პიონერი, მოწაფე სოც. მშენებლობის მონაწილეა, ის მომავალის ვარსკვლავია და ემზადება, რათა დროულად შესცვალოს უფროსი ამხანაგები. სწორედ ამ თემის დამუშავებას, ახალი ბავშვის მხატვრულ ფორმებში მოცემას უნდა ექცეოდეს დიდი ყურადღება ყოველი საბავშო მწერლის მიერ, ეს კი მღვიმელს არ ახასიათებს, ან თუ ახასიათებს, ძალიან მკრთალად. ეს არის მღვიმელის ძირითადი ნაკლი. რა თქმა უნდა, შიოს ლექსებს ძველ ბავშვებზე აქვს თავისი ფასი, რადგან ძველი ბავშვების ცხოვრების სურათს გვაძლევს, მაგრამ გარდა დასახელებულისა, შიოს დადებით თვისებად შეიძლება კიდევ ერთი ჩავთვალოთ — ეს არის შიოს ენის უდიდესი სიმარტივე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვებისათვის, და, საერთოდ, აღებული საკითხის ძალიან ლამაზად და გასაგებად დამუშავება. 100 პროც. მღვიმელის ლექსებისა გასაგებია ბავშვებისათვის, რაც შიოს აყენებს, ენის სილამაზისა და დახვეწილობის მხრივ. პირველ ადგილზე. გარდა ამისა, შიოს დიდი ღვაწლი მიუძღვის ბუნების საკითხში. მას მთელ რიგ ლექსებში აქვს ბუნების აღწერა, რაც ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესოა. მღვიმელს აგრეთვე ნაწერი აქვს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა ტყის დაცვა, ფრინველების დაცვა და სხვა. შიო თავის ლექსებში აძაგებს სიბოროტეს და მოუწოდებს ბავშვებს სწავლისაკენ, სინათლისაკენ, რაც მას დიდ დამსახურებად ჩაეთვლება.

მკითხველთა მასა შიოს სთხოვს, რათა მან მოგვცეს მეტი ლექსები ახალ ბავშვებზე, პიონერებზე, ოქტომბრელებზე, ახალ სკოლაზე და, საერთოდ, დადგეს თანადროულობის აღმწერ პოეტთა რიგებში. ეს პატივცემულ შიო მღვიმელის ავტორიტეტს, ბავშვების სიყვარულს მისდამი ერთი-ათად გაადიდებს და გააღრმავებს.

## შიო მღვიმელის შემოქმედება

ცენტრალური საბავშო ბიბლიოთეკის ერთ-ერთმა ბრიგადამ მიზნად დავისახეთ დაგვემუშავებია შიო მღვიმელის შემოქმედება, ამისათვის ავიღეთ მისი ოთხივე წიგნი: „ნობათი“, „მერცხლები“, „ცელქე-

ბი“, „ჩემი ყვავილები“ და სხვადასხვა ჟურნალში დაბეჭდილი ლექსები. უმთავრესად ჩვენ ყურადღება მივაქციეთ მის ლექსებში ბუნების აღწერას, სოფლის სურათებს, გლეხის საქმიანობას სოფლად და სხვ. შიოს თავის ლექსებში ძალიან მხატვრულად აქვს აღწერილი ბუნება წელიწადის ოთხივე დროში, მაგ., როგორიცაა სოფელი გაზაფხულზე ან რა საქმიანობას ეწევიან გლეხები, მაგ.: ლექსი „გაზაფხულის დილა“,

„მზე ბუნების თვალ-გვირგვინი,
დაბლა ველად სხივებს ქსელავს,
ვარდ-ყვავილებს ჰკოცნის ნაზად,
ნიავივით არა თელავს“.

ის აგრეთვე მხატვრულად აგვიწერს გლეხების საქმიანობას ზაფხულში—ლექსი „მკათათვე“:

„და ნამგალს გაფითრებულსა
ლურჯად გაუდის კრიალი,
გულს ახალისებს მუშისას
ხელეურების შრიალი“.

შიო თავის ლექსებში ყველაზე მეტ ადგილს უთმობს შემოდგომის სურათის აღწერას. ის თვალწინ გვიშლის სურათს, თუ როგორია შემოდგომაზე სოფლის ბაღ-ბოსტნები და ვენახები და როგორ მუშაობენ იქ ბავშვები და მათი მშობლები — ლექსი „რთველი“:

„დღეს ჩვენ მისთვის ვემზადებით
გოდრებით და კალათითა,
რადგან მეტი სიმწიფისგან
ზედ ადნება ვაზებს თითა“.

ამნაირადვე საუცხოვოდ აქვს აღწერილი ზამთარიც:

„შავ თალხებში გახვეული
ტყე და ქალა ჩაიბურა,
ცამ წარბები შეიჭმუხნა
და სათოვლედ დაიბურა“.

არ მოგვწონს და ნაკლად ჩაეთვლება შიო მღვიმელს გოგონების განცალკევებით აღწერა. შიოს თავის ნაწერებში მოცემული აქვს გოგონები, რომლების საქმიანობად თვლის ტიკინების თამაშს, ოჯახში მუშაობას.

მაგ. ავიღოთ ლექსი — „თამარ და კესა“.

„თამარ, შენი ჭირიმე,
ჩემსკენ გადმოიარე,
კაბებს ვუჭრი დედოფალს,
შრომა გაიზიარე.
— სწორედ მაგ ყოფაში ვარ,
რომ იცოდე, კესა მე,
და ნუ დამემდურები,
გოგო, შენი კვნესა მე!“.

დღევანდელ ხანაში ჩვენ სრულიად საწინააღმდეგოს ვხედავთ: ახალგაზრდა ქალები ჩაბმული არიან სხვადასხვა კულტურულ საქმიანობაში, როგორიცაა სკოლა, სამკითხველო, პიონერული ორგანიზაციები და სხვა მრავალი. ჩვენ ყველაზე ძლიერ დაგვაინტერესა შიოს ლექსებში ლექსმა: „ტყის [illegible]“, რომელიც მოთავსებული იყო 1924 წლის ჟურნალ „ნაკადული“-ში. ეს ერთადერთი ლექსია ჩვენს მიერ გაცნობილ ლექსებში, რომელიც შეეხება ახალ დროებას და რომლითაც ეტყობა შიოს გარდატეხა. შიო ამ ლექსის საშუალებით უხევს ძველ გზას და გვაძლევს თანამედროვე კულტურული ცხოვრების სურათს. შიო თავის ლექსში უხსნის გლეხებს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ტყეს და აგრეთვე უხსნის —ტყის მოსპობით როგორ ილუპება მთელი სოფლები და ქალაქები. საერთოდ, მისი ნაწერების გაცნობით შემდეგ დასკვნამდე მივედით: შიო მღვიმელი სწერს ლექსებს ბავშვისათვის გასაგებ მარტივ ენაზე, ამავე დროს ის ლექსებს წერს სულ ძველი სოფლის შესახებ, ის ამით წინ გვიშლის სოფლის სურათს მთელი წლის განმავლობაში, მაგრამ ეს ჩვენთვის საკმარისი არ არის, ჩვენ, ახალგაზრდობა, მოვითხოვთ—შიო მღვიმელმა დაგვიწეროს ლექსები სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციაზე და ინდუსტრიალურ ქალაქზე. გვინდა აგრეთვე, ძია შიომ დაგვიწეროს სოციალისტური ბავშვების ყოფა-ცხოვრება, აღწეროს ბავშვი დაზგასთან, პიონერის ცხოვრება და სხვა, ერთი სიტყვით, ჩვენ მოვითხოვთ ძია შიოსაგან, რომ მოგვაწოდოს მასალები თანამედროვე ქალაქისა და სოფლის შესახებ. მართალია, ვერც ერთი საბავშო მწერალი ვერ შეედრება შიოს მარტივი და ბავშვისათვის გასაგები ენით, მაგრამ შიოსაც ბევრი ნაკლი აქვს, რაც ზემოთ არის მოხსენებული. ძველი სოფლის სურათის აღწერაში ვერც ერთი საბავშო მწერალი ვერ შეედრება შიო მღვიმელს, რისთვისაც მას ჩვენ ვანიჭებთ საბავშო მწერალთა შორის პირველობას, მაგრამ ჩვენ ხომ არ ვთხოვთ დაგვიწეროს ძველი სოფლის სურათი ჩვენ მას ვთხოვთ დაგვიწეროს ბევრი ლექსი თანამედროვე ცხოვრებაზე.

ცენტრალურ საბავშო ბიბლიოთეკის მკითხველ ბავშვთა სახელით ჩვენ მოვითხოვთ, რომ ძია შიომ აგვისრულოს ჩვენი თხოვნა, — მაშინ ის იქნება ყველაზე მეტი და მუდამ საყვარელი მწერალი ჩვენთვის.

მაშ გაუმარჯოს ჩვენს მიერ პირველობა - მინიჭებულ ძია შიოს და მის მიერ ახალი ყოფა-ცხოვრების შესახებ დაწერილ ლექსებს!!!



მახინჯაური. მანდარინის საბჭოთა მეურნეობა. მანდარინის კრეფა.

მუშათა საქმისათვის იყავ მზად!

# პიონერი

საქართველოს ბ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის ჟურნალი ბავშვთათვის.

№ 23-24

დეკემბერი
1932
წელიწადი მე-7-ე
რედაქციის მისამართი:
ალმასკომის ქ., № 7.
სახელგამი,
საყმაწვილო და საბავშვო ლიტ—რის სექტორი



ტფილისი შემნახველ სალაროს თავმჯდომარე ამხ. კანდელაკი პიონერებს ესაუბრება სალაროების მნიშვნელობის შესახებ



აღმშენებლო სასწავლებლის მოწაფეები პრაქტიკაზე სამღებრო სამხატვრო ამქარში

## შინაარსი

1. ხუთი დღით ტყეებსა და მთებში—ნაწყვეტი,—ბ. ჩხეიძე . 1
2 ხუცის როლი, — ლექსი— ირაკლი აბაშიძის . . . . . 4
3 შირაქი იჭექებს,—ს. მთვარაძის . . . . . . . . .
4. ჩემი ძმა,—გ. ი კაჭახიძის . 6
5. ახალი ბაზარი—ცქვიტის . 7
6. კომკავშირული სიმღერა,— ლექსი—ვ. ხოზისპირელი . 11
7. საბჭოთა ტექნიკას ჩავწვდეთ და ვიცოდეთ,—ლექსი—ავთანდილ კაშმაძის . . 11
8. კრიზისი ანადგურებს სკოლებს 12
9. მაქსიმ გორკი . . . . . . 14
10. შიო მღვიმელი,—ა. . . . 15
11: პატარა მთესავები, — ლექსი ი. მჭედლიშვილის . . . . .

პასუხისმგებელი რედაქტორი ქ. მელაძე.
პ/მგ. მდივანი ირ. აბაშიძე.

ფასი 30 კაპ.


## საქართველოს გ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის ჟურნალი—ბავშთათვის

წელიწადი VIII

# „პიონერი“

წელიწადი VIII

## გამოდის თვეში ორჯერ

„პიონერი“ ემსახურება ბავშების კომუნისტურად აღზრდის დიად საქმეს.

„პიონერის“ ამოცანაა—თავის ირგვლივ შემოკრიბოს ბავშთა ფართო მასიები.

„პიონერ“-ში სისტემატიურად მოთავსდება წერილები, ლექსები, მოთხრობები და მხატვრული ნარკვევები მიმდინარე პოლიტიკური კამპანიების შესახებ.

„პიონერი“-ს მთელი შინაარსი და ხასიათი შეფარდებულია სოციალისტური მშენებლობის მიერ დასმულ საკითხებთან.

„პიონერს“ უნდა კითხულობდეს ყოველი პიონერი და ხელს უწყობდეს მის ფართოდ გავრცელებას შეუკავშირებელ ბავშთა შორის.

ხელის მოწერის პირობები: 1 წლით 8 მან., 1/2 წლით 4 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

## ხელის მოწერა მიიღება:

1. ტფილისში—პერიოდსექტორში—რუსთაველის პროსპ. № 34.
2. სახელგამის ტფილისის და პროვინციის მაღაზიებში.
3. სათანადო უფლებით აღჭურვილ რწმუნებულებთან.
4. ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში.



## საქართველოს გ. კ. ო. ცენტრალური ბიუროს და განათლების სახალხო კომისარიატის ჟურნალი—მცირეწლოვან ბავშთათვის

წელ. მე-6-ე

# „ოქტომბრელი“

წელ. მე-6-ე

(ყოველთვიური)

„ოქტომბრელი“ ემსახურება ოქტომბრელთა კომუნისტურად აღზრდის დიად საქმეს.

„ოქტომბრელი“ ბავშებისათვის 7—10 წლამდე პოპულიარული ენით აშუქებს სოცმშენებლობის საკითხებს, პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასმულ ყოველგვარ ამოცანებს და მიმდინარე კამპანიებს.

„ოქტომბრელი“ აწვდის ჩვენს ბავშებს ცნობებს უცხოეთის ბავშთა რევმოძრაობისა და მდგომარეობის შესახებ.

ხელის მოწერის პირობები: 1 წლით 4 მან. 1/2 „ 2 „ ცალკე ნომერი 50 კაპ.

## ხელის მოწერა მიიღება:

1. ტფილისში—პერიოდსექტორში—რუსთაველის პროსპ. № 34.
9. სახელგამის ტფილისის და პროვინციის მაღაზიებში.
3. სათანადო რწმუნებით აღჭურვილ რწმუნებულებთან.
4. ფოსტა-ტელეგრაფის ყველა კანტორაში.


„კომუნისტი“-ს სტამბა, კამოს ქ. № 68. მთავლ. რწმ. გ. № 27. შეკვ. № 2888. ტირაჟ 3100